პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2023 წლის ----- ივლისი, ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ინასარიძის ქ. №3-ის მიმდებარედ არსებული 39.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №გ-15.15211513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ინასარიძის ქ.№3-ის მიმდებარედ არსებული 39.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №გ-15.15211513 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ინასარიძის ქუცა №3-ის მიმდებარედ (ტროტუარი) არსებული 39.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.24.07.156) ნოდარ მახარაძისათვის (პ/ნ 61002014613) პირდაპირი განკარგვის წესით, 2028 წლის 01 დეკემბრამდე იჯარით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 3 265 (სამი ათას ორას სამოცდახუთი) ლარის ოდენობით.“.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ინასარიძის ქ. №3-ის მიმდებარედ არსებული 39.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №გ-15.15211513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ინასარიძის ქ. №3-ის მიმდებარედ არსებული 39.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №გ-15.15211513 განკარგულებით კომერციული ობიექტის საქმიანობის გაფართოვების და ხელშეწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 05 წლის ვადით, ნოდარ მახარაძეს (პ/ნ 61002014613) იჯარით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში,ინასარიძის ქ. №3-ის მიმდებარედ (ტროტუარი) არსებული 39.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.24.07.156). მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური იმ პერიოდისათვის განისაზღვრა 1465 ლარის ოდენობით. (გამოყენებული იქნა მიმდებარედ არსებული #05.24.07.151 მიწის ნაკვეთის შეფასება - ფართი 38 კვმ; საბაზრო ღირებულება 28 500,0 ლრ.; 1 კვმ-ს - საბაზრო ღირებულება 750,0 ლრ.; (შპს აუდიტ ეკონომიქსი“ ბთმ-107, 09.11.20წ); 39,0 კვმ-ს საბაზრო ღირებულება - 29250,0 ლრ; წლიური საიჯარო ქირა - 1462,5 ლრ.) შემდგომში ნოდარ მახარაძესთან შესაბამისი ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა აღნიშნული ქონების გადაფასება სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ექსპერტიზის დასკვნის (№004380823; 26.06.2023წ.) თანახმად 05.24.07.156 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 39.00 კვმ მიწის ნაკვეთის ღირებულება განისაზღვრა 65238,0 ლარის ოდენობით. 1 კვ.მ.-ს საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 1672,7 ლარს; საიჯარო 1კვმ - 5%-83,6 ლარს; სიჯარო 39,0 კვმ-ს = 3261,9 ლარს. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ 39.00 კვმ მიწის ნაკვეთზე სარგებლობის საფასური განისაზღვროს 3265,0 ლარის ოდენობით. ვადა განისაზღვროს წინამდებარე განკარგულების მიღებიდან ასევე 5 წლის ვადით - 01 დეკემბერი 2028 წ.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი

პროექტის არსი მდგომარეობს შემდეგში:

განკარგულებით დამტკიცებული პუნქტი 1 და პუნქტი 2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. პუნქტი 1

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში,ინასარიძის ქ. №3-ის მიმდებარედ (ტროტუარი) არსებული 39.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.24.07.156) ნოდარ მახარაძისათვის (პ/ნ 61002014613) პირდაპირი განკარგვის წესით, 2028 წლის 01 დეკემბრამდე იჯარით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. პუნქტი 2

,,წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 3265,0 ლარის ოდენობით“

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორ-მატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი **დავით კოპინაძე**